



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება № 76



2013 წლის 1 მაისი

ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის
სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის N162 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულების საფუძველზე:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის N162 განკარგულებით და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2011 და 2012 წლებში აუთვისებელი სახსრების ნაშთის ფარგლებში, დაბა სურამში და სოფელ ხცისში, თვითმმართველის ერთეულის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შედგენილი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვა) პროექტის ნუსხა განისაზღვროს დანართი N1-ის შესაბამისად;
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების მიზნით უზრუნველყოს ყველა საჭირო ღონისძიებების გატარება;
3. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონის შესაბამისად;
5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე



სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

ტერიტორიული ორგანოების დასახელება	სოფელი დაბა	2011 წელში გამოყოფილი სახსრების ნაშთი	2012 წელში გამოყოფილი სახსრები	პროექტის დასახელება	პროექტის ჯამური ღირებულება	პროექტის ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
დაბა სურამი	დაბა სურამი	1 171.98	4 565.00	სკვერის კეთილმოწყობა	5 736.98	5 736.98
ხცისი	ხცისი	6 087.58	14 936.00	წყალსადენის რეაბილიტაცია	21 023.58	21 023.58